

სს „სახალხო ბანკი“ საქართველოს საფონდო ბირჟაზე სავაჭრო კოდის (ticker code) „BANK“-ად შეცვლისა და ბანკის აქციების საფონდო ბირჟის B ლისტინგის კატეგორიაში დაშვების შესახებ აცხადებს

დღეს სს „სახალხო ბანკმა“ საფონდო ბირჟაზე საკუთარი სავაჭრო კოდის (ticker code) არსებული „AMB“-დან „BANK“-ად შეცვლის შესახებ განაცხადა. აღნიშნული ცვლილება ძალაში 2009 წლის 28 ოქტომბერს შევიდა.

დღესვე ბანკმა განაცხადა იმის შესახებ, რომ მისი აქციები განთავსდა საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგის B კატეგორიაში. საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგში მყოფი აქციები ორ, A და B კატეგორიად არის დაყოფილი. მანამდე ბანკის აქციები საქართველოს საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ იყო დაშვებული.

„მოხარული ვარ, რომ სს „სახალხო ბანკის“ აქციები საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგის B კატეგორიაში განთავსდა. დარწმუნებული ვარ ეს ნაბიჯი ბანკის აქციების ლიკვიდობას გაზრდის. რაც შეეხება სავაჭრო კოდის ცვლილებას, აქამდე არებული კოდი ბანკის ძველი სახელის „აგრომრეწვბანკის“ აბრევიატურას წარმოადგენდა და შესაბამისად, მისი გამოცვლა გადაწყვიტეთ. ისინი ვინც ჩემს წინა საბანკო პროექტს თვალყურს ადევნებენ, ალბათ, მომდევნო თვეების განმავლობაში ელოდებიან ქმედებებს ლიკვიდობის გასაუმჯობესებლად და ინვესტორთა დაინტერესების გასაზრდელად“, აღნიშნა სს „სახალხო ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელმა თავმჯდომარემ და გენერალურმა დირექტორმა, **ლადო გურგენიძემ**.

სახალხო ბანკი 

სს „სახალხო ბანკის“ შესახებ

სს „სახალხო ბანკი“ (GSE: AMB) 2002 წელს დაარსდა და სიდიდით მეშვიდე ქართული ბანკია. ბანკის საბაზრო წილმა მთლიანი აქტივების მიხედვით 2009 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით 3.5% შეადგინა. სს „სახალხო ბანკს“ ქართულ ბანკებს შორის ყველაზე დიდი ფილიალების ქსელი აქვს და იგი 1.5 მილიონ ფიზიკურ პირს უწევს მომსახურებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ www.peoplesbank.ge ან დაუკავშირდით:

ლადო გურგენიძეს
სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე და გენერალური დირექტორი
ელ-ფოსტა: lado.gurgenidze@peoplesbank.ge ან ir@peoplesbank.ge